STATISTICAL LISTS OF THE OCCUPIED TSKHINVALI REGION

(According to the collections kept in the K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts)

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის სტატისტიკური ნუსხები

(კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კოლექციების მიხედვით)

Tea Kartvelishvili
PhD in History,
K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts
ORCID iD: 0009-0002-2350-3535

teakartvelishvili@manuscript.ge +995593370429

Bezhan Khorava
PhD in History,
The University of Georgia, Tamaz Beradze
Institute of Georgian Studies
ORCID ID: 0000-0001-2345-6789
bxorava@ug.edu.ge +995599272149

Abstract

Statistical lists are at our disposalmainly in the form of census books, which are an important documentary source for reconstructing the history of a particular region. Sources of this type have acquired special significance for the study and research of the occupied territories of Georgia. These lists were compiled for different purposes. In the feudal state, their function was to determine the number of serfs, taxpayers and men to be summoned for military service. Census books very precisely characterize the ethno-demographic processes, the onomastics of a region (name, surname, toponymy), socio-economic situation, etc.

One part of the census books kept in the collections of the K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts have been published and studied, the other part is yet to be published. Chronologically, they cover the 18th-19thcenturies. The geography of the census books also varies. These include both large-scale lists in which censuses of large regions are collected ("Census Book of Kartli", "List of households of Shida Kartli villages", "List of estates of the Ossetian households of Ksani and Liakhvi"), and data from some specific villages ("List of serfs in the village of Ghverteti", "List of the taxes on the maintenance of officials and other taxes in the village of Tsirkuali"). The statistical lists combine a list of shares of various officials, and books of orders of feudal lords on the levying of taxes from certain villages („Part of Ckhrazma Kularagas").

Key words: Statistical lists, ethno-demographic processes, onomastics of a region, socio-economic situation, Tskhinvali Region

თეა ქართველიშვილი
ისტორიის დოქტორი, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
ORCID iD: 0009-0002-2350-3535
teakartvelishvili@manuscript.ge +995593370429

ბეჟან ხორავა
ისტორიის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
ORCID ID: 0000-0001-2345-6789
bxorava@ug.edu.ge +995599272149

აბსტრაქტი

სტატისტიკური ნუსხები, რომლებიც, ძირითადად, მოსახლეობის აღწერის დავთრებით გვაქვს წარმოდგენილი, ამა თუ იმ რეგიონის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის მნიშნელოვანი დოკუმენტური წყაროა. აღნიშნული ტიპის წყაროებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესწავლისა და კვლევის საქმეში. აღწერის ნუსხები სხვადასხვა მიზნით დგებოდა. ფეოდალურ სახელმწიფოში, ძირითადად, მისი ფუნქცია იყო გადასახადების გადამხდელთა და მოლაშქრე კაცთა რაოდენობის დადგენა. მოსახლეობის აღწერის დავთრები ზედმიწევნით ზუსტად გვიხასიათებს ეთნოდემოგრაფიულ პროცესებს, რეგიონის ონომასტიკას (პირსახელი, გვარ-სახელი, ტოპონიმია), სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და ა.შ.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებში დაცული აღწერის დავთრების ნაწილი გამოქვეყნებული და შესწავლილია, ნაწილი კი გამოსაცემი. ისინი ქრონოლოგიურად XVIII-XIX სს. მოიცავს. აღწერის დავთრების გეოგრაფიაც განსხვავებულია. წარმოდგენილია, როგორც მასშტაბური ნუსხები, რომლებშიც თავმოყრილია მსხვილი რეგიონის აღწერა („ქართლის აღწერის დავთარი“, „შიდა ქართლის სოფლების კომლთა ნუსხა“, „ქსნისა და ლიახვის ოსების საკომლო მამულების ნუსხა“ და ა.შ.), ასევე კონკრეტული სოფლის მონაცემები („სოფ. ღვერთეთის ყმა-გლეხთა სია“, „ნუსხა სახელოსა და სხვა გამოსაღებისა სოფ. წირქუალიდან“ და ა.შ.); ფეოდალთა ბრძანების წიგნები ამათუიმ სოფლიდან გადასახადების აკრეფის შესახებ („ბრძანება თორნიკე ქსნის ერისთავისა იასაულისადმი გადასახადის აღების შესახებ“; „ნუსხა თორნიკე ქსნის ერისთავის ყმების მახტისა და კულუხისა ახალგორს“ და ა.შ.); სტატისტიკურ ნუსხებში ერთიანდება სხვადასხვა მოხელის წილის ნუსხებიც („ცხრაზმის ყულარაღაზის წილი“).

საკვანძო სიტყვები: სტატისტიკური ნუსხები, ეთნო-დემოგრაფიული პროცესები, რეგიონის ონომასტიკა, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობა, ცხინვალის რეგიონი, ოკუპირებული ტერიტორიები.

შესავალი

ეთნო-დემოგრაფიული პროცესების შესასწავლად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს დოკუმენტურ მასალას – საისტორიო ნაშთს, რომელიც სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირების პროცესში იქმნება. სწორედ ასეთია კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საბუთები, სტატისტიკური ნუსხები, რომლებსაც წინამდებარე პუბლიკაცია ემყარება.

მეთოდები

ნაშრომში გამოყენებულია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში აპრობირებული მეთოდები, მათ შორის, ისტორიული შემეცნების, სისტემური, კომპლექსური და კომპარატივისტული კვლევის; წყაროების გამოვლენის, შერჩევის, კრიტიკული ანალიზის და სხვა მეთოდები. ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძვლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია ისტორიზმის პრინციპი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, საკითხი სხვადასხვა ისტორიული მოვლენების დინამიკაში შევისწავლოთ.

შედეგები

სტატისტიკურ ნუსხები, მართალია, სხვადასხვა მიზნით დგებოდა და შესაბამისად დოკუმენტების შინაარსიც ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ ტრადიციულად, რაც უცვლელი რჩება ყველა საბუთში, არის შემდეგი: ჩამოთვლილია სოფლები მასში მცხოვრებ კომლთა თუ სულადობის რაოდენობის მითითებით. ნუსხების ნაწილში მოსახლეები გვარ-სახელით არიან დასახელებულნი. ოკუპირებული ტერიტორიების შესწავლის თვალსაზრისით სტატისტიკური ნუსხები ორი ტიპის მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს: 1. საკვლევი რეგიონის პოლიტიკური და საეკლესიო იურისდიქციის კუთვნილების, საგადასახადო სისტემისა და სამართლებრივი ნორმების შესახებ; 2. რეგიონის ეთნიკური ვითარების შესახებ. გვარ-სახელით შედგენილი ნუსხები პირდაპირი წყაროა აღნიშნული საკითხის გასარკვევად.

სტატისტიკურ ნუსხებში ნათლადაა წარმოდგენილი ცხინვალის რეგიონის დემოგრაფიული სურათი (ქართველები, სომხები, ებრაელები, ოსები) და მიგრაციის პროცესები; ოსური დასახლებების გაჩენის დრო და ოს მეკომლეთა მთიდან ბარში მიგრაციის დინამიკა.

მსჯელობა

აღწერის მასშტაბური ნუსხებიდან აღსანიშნავია, დოკუმენტი Hd-1606 - ,,ქართლის აღწერის დავთარი“ (1781 წ.), რომელიც თავნაკლული და ბოლონაკლულია. მასში შეტანილია დიდი და პატარა ლიახვისა და ფრონეების ხეობებში მდებარე სოფლები: არადეთი, საღოლაშენი, ბრეთი, წვერი, ქვემო ხვითი, ზემო ხვითი, ფხვენისი, ქვემო ნიქოზი, ზემო ნიქოზი, კეხვი, აჩაბეთი, მდგვრისი, კარბი, თამარაშენი, ქურთა, სვერი, ქემერტი, ძარწემი, რუსთავი, ხეითი, დიცი, მეღვრეკისი, ერგნეთი, ასევე ქ. ცხინვალი და თირის მონასტრის ყმები. ფეოდალური ხანის საქართველოში დამკვიდრებული წესის თანახმად, დავთარში შეყვანილია არა მოსახლეობის სრული სულადობრივი მონაცემები, არამედ კომლის და ,,თავის“, რიცხვი.[1] დავთარში შეტანილია ასევე ამ სოფლებში მცხოვრები აზნაურები,

[1] ივ. ჯავახიშვილის განმარტებით „თავი“ კომლში შემავალ ოჯახის უფროსს ნიშნავს. კომლში რამდენიმე ოჯახი ერთიანდებოდა და თითოეულს ჰყავდა თავისი უფროსი (ჯავახიშვილი, 1901: 10-11;

დასახელებულია გლეხთა კატეგორიები: თარხანი, ხიზანი, მოყალნე, ბოგანო; დასახელებულია გლეხები საქმიანობის სფეროს (მღვდელი, მეწისქვილე, მებაღე, ფეიქარი, მეჩითე, მეზვრე, თოფჩი) მიხედვით, ასევე გვაძლევს ინფორმაციას მათი ეთნიკური კუთვნილების შესახებ. გლეხების აბსოლუტური უმრავლესობა ქართველია, გვხვდება ებრაელები (მაგ. ურია დანიელა, ურია გაგულა, ურია ისრაილაშვილი და სხვ.) და სომხები (მაგ. ტერ არაქელაშვილი, ტერ ბაღდასარა, ოჰანაშვილი ტერ მოსესა და სხვ.).

დოკუმენტი გვაწვდის ზუსტ ინფორმაციას მემამულეთა და მათი ყმების რაოდენობის შესახებ. სულ, დავთარში თავად-აზნაურთა და გლეხთა 540 კომლია შეყვანილი. საბუთის თანახმად, იმ დროს ცხინვალში 130 კომლი ცხოვრობდა; უმეტეს სოფლებში – 20-მდე კომლი. დიდი სოფლები ყოფილა თამარაშენი (37 კომლი), მდგვრისი (36 კომლი). დავთარში აღწერილი ყმების გარკვეული რაოდენობა სამეფო-სახასო საკუთრებას წარმოადგენდა; ყმა-გლეხებს ფლობდნენ ასევე სამეფო ოჯახის წევრები და თავადთა სახლები: მაჩაბლები, ამილახვრები, აბაშიძეები, ავალიშვილები, თაქთაქიშვილები, ხერხეულიძეები, თარხნიშვილები, ბეგთაბეგიშვილები, ფავლენიშვილები. მცირე რაოდენობით ყმები ჰყოლიათ ორბელიანს, მუხრანბატონს, დავითიშვილს. ყმა-გლეხებს ფლობდნენ აგრეთვე ნიქოზელი ეპისკოპოსი, მანგლელი ეპისკოპოსი, თბილელი ეპისკოპოსი და ეკლესია-მონასტრები – ქვათახევის ღვთისმშობლის ეკლესია, მღვიმის ეკლესია, წმ. ევსტათის ეკლესია, მთაწმინდის ეკლესია, თირის მონასტერი და ეჩმიაძინი. საბუთი შეისწავლა და გამოაქვეყნა ა. თაბუაშვილმა, მანვე დაათარიღა იგი 1781 წლით (თაბუაშვილი, 2010: 25-56; თაბუაშვილი, 2013: 44-73).

,,მოსახლეობის აღწერის დავთარში“ (Hd-1611, XVIII ს. II ნახევარი) შეტანილი სოფლების უმეტესობა იმავე გეოგრაფიულ რეგიონს განეკუთვნება, რომელსაც წინა დავთარი. ეს დავთარიც თავნაკლულია. მასში აღწერილია 22 სოფელი: წიქარაული, ცხრამუხა, ოსიაური, ბრეძა, ატოცი, თიღვა, ტყისუბანი, წირეთი, ძაღინა, შინდარა, ავლევი, მდგვრისი, ბროწლეთი, ერედვი, ერგნეთი, ძევერა, შერთული, მეღვრეკისი, ყელქცეული, სამთავისი, ჭალა, ბოლი და ქ. კასპი. ამ სოფლების მებატონეები იყვნენ ფალავანდიშვილები, ფავლენიშვილები, ამილახვრები, აბაშიძეები, ამირეჯიბები, ხერხეულიძეები. დავთარში შეტანილია 400-ზე მეტი კომლი. გლეხების უმეტესობა მებატონეებს ეკუთვნოდა, ნაწილი კი სამეფო-სახასო იყო. მცირე რაოდენობით ყმა-გლეხებს ფლობდნენ დედოფალი, მუხრანბატონი, სინის მთის მონასტერი, სამთავისის ღვთაების ტაძარი, მთავარეპისკოპოსი, თბილელი ეპისკოპოსი, ვაჭარი ჯულაბაშვილი და სხვ. მცირე მებატონეებს წარმოადგენდნენ აზნაურები. დავთარში 20-ზე მეტი აზნაური იხსენიება. ყველაზე მეტი კომლი ცხოვრობდა ძაღინაში (65 კომლი), ერედვში (40 კომლი). დავთარი შესწავლილი და გამოქვეყნებულია ა. თაბუაშვილის მიერ (თაბუაშვილი, 2013: 73-95). ეთნიკური სურათი ისეთივეა, როგორც წინა დოკუმენტში. საბუთში მცირე რაოდენობით გვხვდებიან ებრაელები და სომხები (მაგ. ურია კრიხელი, ურიაყოფილი ნინია, ურიაყოფილი დათუნა, კარაპეტაშვილი ბერი, ასატერაშვილი ბეცია, ნალეკარი ივანე).

Hd-1606 და Hd-1611 ერთი რეგიონის აღწერის დავთრებს წარმოადგენს და ერთმანეთს ავსებს. ორივე დავთარი ნაკლულია, ამიტომ მათში დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის და ფრონეების ხეობების ყველა სოფელი არ არის წარმოდგენილი. ამ ნაკლს გარკვეულწილად

მიხეილ ცოტნიაშვილის განმარტებით, შესაძლოა „თავი“ გულისხმობდეს კომლში შემავალ სრულწლოვან, შრომისუნარიან, ჯარში გამოსაყენებელ ადამიანს (ცოტნიაშვილი, 1986: 196).

გვაქვს ასევე სულადობრივი მონაცემების შემცველი დოკუმენტები: 1774 წ. ქსნის ხეობის აღწერის დავთარი; 1781 წ. ქსნის ხეობის აღწერის დავთარი (იხ. ჯავახიშვილი, 1967).

ავსებს „მოსახლეობის აღწერის დავთარი“ (Hd-9324, 1790 წ.) (თაბუაშვილი, 2013: 95-105). ეს არის სურსათის დავთრის პირი, რომელშიც შეტანილია პატარა ლიახვისა და ,,ახალი სახასო საერისთავოს“ სოფლების მოსახლეობა. ,,ახალი სახასო საერისთავო“ ქსნის ერისთავთა მამული იყო. ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლე II-მ, 1778 წელს ქსნის საერისთავო გააუქმა და სახასო საკუთრებად გამოაცხადა. საერისთავოს გაუქმების მიუხედავად, ქსნის ერისთავთა სახლის წარმომადგენელი როსტომი, ქსნის ხეობის მომიჯნავე ბარის რაიონებში ყმა-მამულს კვლავ ფლობდა. მისი მფლობელობა ვრცელდებოდა პატარა ლიახვსა და ქსანს შორის მდებარე ტერიტორიაზე, რომელიც გვერდისძირის სახელითაა ცნობილი. 1790 წელს ერეკლე II-მ როსტომ ერისთავის მამულებიც სახასო საკუთრებად გამოაცხადა. ,,ახალი სახასო საერისთავო“ როსტომ ერისთავისთვის ჩამორთმეულ მამულს მოიცავდა.

დავთარში შეტანილია 28 სოფელი: უფლისციხე, ქვემო ხვითი, ზემო ხვითი, ქვემო ნიქოზი, აწერისხევი, ერტულა, ბელოთი, დიცი, საცხენეთი, ფლავი, იკორთა, ჭარები, ქსუისი, მერეთი, კულბითი, არცევი, ფლავისმანი, ჯარიაშენი, აძვი, ახალუბანი, მეჯვრისხევი, სათემო, ქიწნისი, საკორინთლო, რეხა, კარალეთი, მარანა, ტყვიავი, და ქ. ცხინვალი. გარდა მცირე გამონაკლისისა, ამ სოფლების მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა სახასო საკუთრებას წარმოადგენდა. მასში შეტანილია 317 გადასახადის გადამხდელი კომლი. აქ ყმა-გლეხებს ფლობდნენ ასევე ჩერქეზიშვილი (მერეთში და კულბითში), ფურცელაძე (მერეთში).

დავთარი კონკრეტული დანიშნულებით არის შედგენილი, ამიტომ გარკვეულწილად სპეციფიური ხასიათისაა. სოფლების: უფლისციხის, ქვემო ხვითის, ქვემო ნიქოზის, ზემო ხვითის და ცხინვალის მოსახლეობა დავთარში სრულად არ არის წარმოდგენილი, რადგან იქ მცხოვრები ყმა-გლეხების ნაწილი არა ქსნის ერისთავის, არამედ სხვა მებატონეების საკუთრებას წარმოადგენდა და დავთარში მათი ყმების შეტანა გათვალისწინებული არ იყო. ამასთანავე, საბუთი წარმოადგენს ,,სურსათის დავთრის პირს“, ამ რიგის დავთრებში მხოლოდ გადასახადის გადამხდელები შეჰყავდათ, გადსახადს კი შეძლებული ყმა-გლეხები იხდიდნენ. ამიტომ დავთარში შეტანილი არ არის ამ სოფლებში მოსახლე გადახდისუუნარო გლეხები (,,ბოგანო“, „შეუძლებელი“, ,,ობოლი“), ასევე ,,თარხნები“, გადასახადებისაგან გათავისუფლებული გლეხები და აზნაურები. მიუხედავად ამისა, დავთარს დიდი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვს. ყმა-გლეხები აბსოლუტური უმრავლესობა ქართველია, თუ არ ჩავთვლით, ცხინვალში მოსახლე რამდენიმე კომლს, რომლებიც გაქართველებული სომხები ჩანან (შერმაზანაშვილი ოჰანეზა, ტრანკაშვილი კაცია, ტრანკაშვილი ივანე); გვარებით და წარმომავლობის მიუთითებლად იხსენიებიან გაქრისტიანებული ოსები, რომლებიც ქართული ფეოდალური ორგანიზმის ნაწილი გახდნენ.

,,ყმა-მამულის აღწერის ნუსხა ბეჟან მინბაშისა და ქაიხოსრო ამილახვრიშვილებისა“ (Hd-1617) წარმოადგენს არა მხოლოდ ბეჟან და ქაიხოსრო ამილახვრიშვილების ყმა-მამულის, არამედ მთლიანად საამილახვროს აღწერის დავთარს (თაბუაშვილი, 2010: 59-60). 1791 წლის 13 დეკემბერს ამილახვრის შვილებმა ქაიხოსრომ, ბეჟანმა და ოთარმა მათი გაყრის შესახებ თხოვნით მიმართეს ერეკლე II-ს. ამასთან დაკავშირებით, ერეკლე მეფის ბრძანებით, მდივნებმა უკლებლად აღწერეს საამილახვროს ყმა-მამული, რადგან ყმა-მამულის გაყოფა ამ მონაცემების მიხედვით უნდა მომხდარიყო. საბუთში დასახელებულია 32 დასახლებული პუნქტი, სადაც ამილახვრებს ყმები ჰყავდათ, მათ შორის: თბილისში, გორში, აგრეთვე

ცხინვალში, ვარიანში, რუისში, ფხვენისში, ქვემო ნიქოზში, კარბში, ზახორში[2], ძევერაში და სხვ. ცხინვალში ამილახვრის ყმები არიან, როგორც ქართველები, ასევე წარმოშობით სომხები.

მსხვილი რეგიონის აღწერის ნუსხებიდან აღსანიშნავია, დოკუმენტი Qd-9041. ეს არის 1794 წელს შედგენილი ქართლის სოფლების ნუსხა, რომელშიც აღწერილია მკვიდრი და ხიზანი გლეხების რაოდენობა. საბუთის დასაწყისში მითითებულია: „ქკს უპბ ამ წელს სოფლები დაიწერა. და სოფელ-სოფელ რაც მემკვიდრე და ხიზანი კაცი დგას თავთავის სოფელზე გარჩევით სწერია“. ნუსხაში მხოლოდ სოფლები და კომლთა რაოდენობაა მითითებული, მოსახლეობა გვარ-სახელების გარეშე იხსენიება. სულ დასახელებულია 108 სოფელი, რომელთაგან ნაწილი დღეს ოკუპირებულია. მართალია, მოცემულ ნუსხა ეთნოდემოგრაფიულ ვითარებას არ ასახავს, თუმცა ოკუპირებული თუ არაოკუპირებული სოფლების ერთიანობა ხაზს უსვამს, რომ ისინი ერთი პოლიტიკური ორგანიზმის წევრები იყვნენ.[3] ანალოგიური ხასიათისაა დოკუმენტი Qd-9054 – „ნუსხა ქართლის სოფლებზე შეწერილი ხარვარისა" (1769-1800 წწ.). საბუთში ჩამოთვლილია ქართლის ის სოფლები, რომელთაც ხარვარი[4] არ გადაუხდიათ. ნუსხაში დასახელებულია ოკუპირებული ტერიტორიის სოფლებიც. ამ შემთხვევაშიც, სოფლის მოსახლეთა ეთნიკური კუთვნილება არ არის მითითებული და მხოლოდ ხარვარის გადაუხდელ კომლთა რაოდენობაა დაზუსტებული.

ეთნოდემოგრაფიული ვითარების დასახასიათებლად მნიშვნელოვანია, საბუთი Qd-7014 – „კომლთა ნუსხა დასახლებულთა“ (XVIII ს.). საბუთის თავი დაზიანებულია და ტექსტი აკლია. დავთარში მოცემულია კომლთა ნუსხა სოფლების მიხედვით: ნული, ღვერთეთი, თორმანეული, თიხრევი, ბროწლეთი, რუისი, ფცა, აბანო, სატივე, კლდისწყარო და წაბლუანი. დასახელებულ სოფლებში გლეხები იხსენიებიან გვარ-სახელით და მითითებულია ორ კატეგორიად: 1. მოსახლე და 2. აყრილი. გლეხების გვარსახელით მოხსენიება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღნიშნული სოფლები აბსოლუტურად ქართულია. საბუთში დასახელებული სოფელი ნული, დღეს ნასოფლარია თიღვის მუნიციპალიტეტში, განადგურდა 2008 წლის ომის დროს. ამავე სახელწოდების სოფელი გვხვდება ქარელის მუნიციპალიტეტშიც. თუმცა ნუსხაში დასახელებულია ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ სოფელი ნული, ვინაიდან ჩამონათვალში მას მოყვება ღვერთეთი, რომელიც

---

[2] ზახორი - სოფელი ლეხურას ხეობაში, სოფლების ზემო ზახორის, ქვემო ზახორის და შუა ზახორის ძველი სახელწოდება. შედიოდა ახალგორის მუნიციპალიტეტში. ამჟამად ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

[3] დავთარში შემდეგი სოფლებია დასახელებული: სურამი, ხაშური, ჭალა, ბეკამი, ოსიაური, აბი, ბრეძა, ავლევი, ატოცი, თიღვა, ძაღინა, ნული, დვანი, ძვილეთი, დირბი, ბრეთი, საღოლაშენი, არადეთი, რუისი, ურბნისი, ტინისხიდი, გორი, ახალდაბა, არაშენდა, ლელი, ვარიანი, საქაშეთი, ყელქცეული, შინდისი, ფხვენისი, ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ქვემო ხვითი, ზემო ხვითი, ცხინვალი, დგვრისი, თამარაშენი, აჩაბეთი, კეხვი, ქურთა, ტბეთი, სვერი, ქემერტი, ძარწემი, ხვითი, მეღვრიკისი, ერგნეთი, ბროწლეთი, ტრძნისი, თერგვისი, დიცი, ფრისი, არგვითი, ერედვი, ქორდი, არბო, კარბი, აწერისხევი, ბელოთი, საცხენისი, ვანათი, ჭარები, ქიწნისი, ტყვიავი, მარანა, ბერთული, ძევერა, კარალეთი, დიდგარეჯვარი, პატარა გარეჯვარი, თორტიზა, რეხა, ბერბუკი, სვენეთი, ახალსოფელი, უფლისციხე, ჭელთუბანი, კვარხითი, ახრი, ზერტი, კირბალი, სობი, ბერმო, ჭალა, საკორინთლო, სამთავისი, ბოლი, კასპი, ქსოვრისი, დამპალა, მუხრანი, ყანჩაეთი, ..., აღაიანი, ქვემო ხანდაგი, გომი, კავთისხევი, მეტეხი, ჩოჩეთი, ახალქალაქი, ყარაღაჯი, ხოვლე, ზემო ხანდაგი, სასირეთი, დოესი, ქვახრელი, ხიდისთავი, ქარელი, სამწევრისი.

[4] ხარვარი – ძველი ირანული წონის ერთეული, ქართულად კაბიწი. მარცვლეულის საწყაო, რომელიც 12 კოდს შეადგენდა.

დღესდღეობით ასევე ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონშია მოქცეული. საბუთის მიხედვით ნულში სახლობდნენ: მჭედლიშვილები, ზაზუაშვილები, ბახტაძეები და ნინუაშვილები. ამდენად, სოფელ ნულის მოსახლეობა XVIII საუკუნეში მთლიანად ქართულია. აღსანიშნავია, რომ უკვე 1847 წლის მონაცემებით, სოფელი ნული დასახლებული იყო ოსებით (ტყავაშვილი, 2014: 41).

,,შიდა ქართლის სოფლების კომლთა ნუსხაში“ (Hd-2456, XVIII ს.) შესულია შიდა ქართლის სოფლების: არცევის, თეზის, ძეგლევის, ახალგორის, იკოთის, წირქვალის, საძეგურის, ქვიტკირისა და ქოლოთის, ისროლისხევის, აწერისხევისა და ბელოთის, კულბითის, დიცის მცხოვრებ ყმა-გლეხთა კომლების, იკორთის მთავარანგელოზის, წმიდა სამების, ლარგვისის მონასტრის, იკორთის ყმა-გლეხების კომლთა რიცხვი. ნუსხის თანახმად არცევში ყოფილა 19 კომლი, იკოთში - 21, წირქვალში - 23, საძეგურში - 23, ქვიტკირსა და ქოლოთში - 19, ისროლისხევში - 18, აწერისხევსა და ბელოთში - 27, კულბითში - 6, იკორთაში მთავარანგელოზის ყმა ყოფილა 65 კომლი; ალევში წმიდა სამების ყმა - 10 კომლი და ა. შ. ამავე რიგისაა ,,ნუსხა ქინძათს, ფცას, აბანოს, ცხინვალს და ნულს მცხოვრებ ფულის გადამხდელთა“ (ფრაგმენტი, Hd-5029, XVIII-XIX სს.). საბუთში შესულია ამ სოფლებში მცხოვრები პირები მათთვის დაკისრებული გადასახადის აღნიშვნით. საბუთში დასახელებული პირები აბსოლუტურად ყველა ქართველია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღწერის დავთრები დგებოდა მოლაშქრე კაცთა აღნუსხვის მიზნით. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ რეგულარული ლაშქრის შესაქმნელად მორიგე ჯარი ჩამოაყალიბა. აღნიშნული პერიოდიდან შემორჩენილი გვაქვს მორიგე ჯარის ნუსხები, რომელიც მთელ ქართლის სამეფოს და მათ შორის დღევანდელ ოკუპირებულ რეგიონსაც მოიცავს. საბუთები ერეკლე მეფის ბრძანების წიგნებია შიდა ქართლის ფეოდალებისადმი მათი სათავადოდან ჯარის გამოყვანის შესახებ. აღსანიშნავია ,,სია ზემო ქართლიდან გამოსაყვანი მორიგისა, ერეკლე მეორის ოქმით, რევაზ ამილახვარისადმი“ (Hd-14456, 1769 წ. 10 ნოემბერი). დოკუმენტის თანახმად, ზემო ქართლიდან უნდა გამოსულიყო მორიგე ლაშქარი, ნახევარი ცხენოსანი და ნახევარი ქვეითი. სიაში მოხსენიებულნი არიან ადგილობრივი ფეოდალები: ავალიშვილები, ხერხეულიძეები, ფავლენისშვილები, თაქთაქიშვილები, მაჩაბელი, ბადურისშვილი და სხვები, ასევე ცხინვალელნი. ისინი უნდა გამოსულიყვნენ ,,თავეთის ნუზლით ... პურით და ქერით“.

,,დავთარი ზემო ქართლის სოფლებიდან აპრილის თვეში გასაყვანი მორიგისა“ (Hd-11644, 1774-1800 წწ.). შიდა ქართლის სხვა სოფლებთან ერთად დავთარში დასახელებულია: ,,ცხინვალიდან გასაყვანი მორიგის კაცნი“, რომელთა აბსოლუტური უმეტესობა ქართველია, თუმცა იქვე დასახელებულია ოსი დოხჩიყოსშვილი თიქო, ასევე ეჩმიაძინის ყმა ფილ ბუზაშვილი პაპა, მოქალაქე მეჩახმახე სტეფანა; ცხინვალიდან მაჩაბლების, ციციშვილის, ხერხეულიძეების, ორჯონიკიძის, ბაადურიშვილის ყმები; აჩაბეთიდან, ქურთიდან, ქემერტიდან, ძარწემიდან, თამარაშენიდან, მდგვრისიდან, ფრისიდან და სხვა სოფლებიდან გასაყვანი მორიგის კაცნი, ყველა ქართველი.

,,დავთარი ზემო ქართლის სოფლებიდან გასაყვანი მორიგისა“ (Hd-11643, 1774-1800 წწ.). მასში შეყვანილია ზემო ქართლის 58 სოფლიდან, მათ შორის: იკორთიდან, არცევიდან, ფლავიდან, კულბითიდან, ბელოთიდან, ახალგორიდან, საძეგურიდან, ისროლისხევიდან[5],

[5] ისროლის ხევი - თემი მდინარე მეჯუდას ზემოთში, მის მარცხენა ნაპირზე.

აწერისხევიდან[6], გვერდისძირიდან[7] გასაყვანი მორიგის კაცნი, აბსოლუტურად ყველა ქართველი.

,,დავთარი სხვადასხვა სოფლებიდან დაკლებული მორიგესი“ (Hd-7853, 1774-1800 წწ.). დავთარი წარმოადგენს შიდა ქართლის სოფლებიდან დაკლებული მორიგის სიას, მათ შორის დასახელებულია: ცხინვალიდან – ხოჯასშვილი გივი, მერაბასშვილი მერაბა, გოგინასშვილი მიქელა, მღებრისშვილი გოდერძი, ჯამშიტასშვილი ბეჟანა, თამარაშენიდან – მეტრეველი ზარალო, მეტრეველი ნინია, აჩაბეთიდან – ბუში ბერიკი, ქემერტიდან – მეტრეველი გოგია, ქურთადან – თირის მონასტრის დეკანოზის ძმისწული.

,,მორიგე ჯარის განჩინება იკორთის და არცევის მორიგის ნუსხით“ (Hd-1614, 1774 წ. 1. I). საბუთი წარმოადგენს იკორთიდან და არცევიდან მთელი წლის განმავლობაში, თვეების მიხედვით, თითო მცხოვრების მორიგე ჯარში გასაწვევთა ნუსხას.

ამავე რიგისაა საბუთი მდევრობის განწესების შესახებ – ,,მდევრობის განწესება ერეკლე მეორისა“ (Hd - 13723, 1772 წლის 28 აგვისტო), სადაც ლეკების წინააღმდეგ მდევრის გამოსვლაზეა საუბარი. მასში აღნიშნულია: ,,ქ. ბელოთიდამ, მოკიდებული საცხენისი, დიდი ვანათი, არბო, ქორდი, დიცი და პატარა ლიახვის გამოღმართი, გვერდის ძირი და ვაკე გორით, ბერშოეთამდის, რაც ამათ შუა სოფლებია, ესენი ერთს სამდევროდ უნდა იყვნენ შეპირებულნი.

ქ. თუ სამაჩაბლოსკენ გაჩნდეს ლეკის ჯარი, ან დიდის ლიახვის გაღმა სადმე, ამ დიდის ლიახვის მდევარი და პატარა ლიახვის, გაღმართი მდევარი, რომელიც მეორე მდევრად მიგვიჩენია, საჩქაროდ გაცვივდნენ და როგორც სარქარდებმა ამჯობინონ, ისე შეებნენ...

ქ. თუ ქარელიდამ მდევარი დაიძახონ, მაშინვე ქცხილვანის ქვეითი კაცი, დიდის ლიახვისა, პატარა ლიახვისა, გაღმართი კაცი და დირბის წყლის სოფლები, ყველანი შეიყარნენ და გაცვივდნენ. ცხენიანი და ქვეითი ნურავინ დააკლდება“.

,,ნუსხა ხეითიდან (სამაჩაბლო) გამოსაყვანი მორიგისა“ (Hd-1642, XVIII ს. II ნახევარი). საბუთი წარმოადგენს ხეითიდან მთელი წლის განმავლობაში გასაყვანი მორიგის ნუსხას. დოკუმენტი საინტერესოა ხეითში მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკური, რელიგიური, სოციალური კუთვნილების, მათი გვარ-სახელების შესწავლის თვალსაზრისით. ნუსხაში დასახელებულია სახასო გლეხები, აგრეთვე მაჩაბლებისა და ციციშვილების ყმები, ყველა აბსოლუტურად ქართველია.

,,ნუსხა ახალგორში მცხოვრებ მეკომლეთა“ (Hd-2925, XVIII ს.), საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ახალგორის მცხოვრებთა ეთნიკური, რელიგიური, სოციალური კუთვნილების შესახებ. ნუსხაში დასახელებული პირები არიან ქართველები, რამდენიმე არის წარმოშობით სომეხი (მაგ. სტეფანას შვილი ავეტიზა, სირუნას შვილი მიქელა, მამაჯანას შვილი არაქელა და სხვ.), ებრაული წარმოშობის უნდა იყოს ხახიას შვილი. დანარჩენი ყველა ქართველია.

,,ნუსხა ზემო ქართლის საქვეყნო ხარჯისა, მიცემული ერეკლე II-ის მიერ თეიმურაზ ჯავახისშვილისადმი“ (Hd-1866, 1783 წ. 14. VII). ნუსხაში ზემო ქართლის სხვა სოფლებთან ერთად დასახელებულია ქრცხინვალი და იქ მცხოვრებთა გამოსაღები (ბერძენიშვილი, 1940:

---

[6] აწერის ხევი, აწრისხევი - სოფელია პატარა ლიახვის ხეობაში.

[7] გვერდისძირი - ისტორიული თემი, რომელიც მდინარე მეჯუდას შუა წელსა და პატარა ლიახვს შორის ტერიტორიას მოიცავდა. XVIII საუკუნეში ქსნის ერისთავთა მფლობელობაში იყო.

72-74), თუმცა გვარსახელებით არ არიან დასახელებული, მითითებულია მხოლოდ მათი კუთვნილება: სახასო, მაჩაბლის ყმა, ხიზანი.

უშუალოდ ოკუპირებულ რეგიონს ეკუთვნის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში დაცული აღწერის რამდენიმე დავთრი, რომლებშიც, ძირითადად, ლიახვისა და ქსნის ხეობების მოსახლეობის სტატისტიკაა მოცემული, ასევე რეგიონის ყველაზე მსხვილი ცენტრის - ცხინვალის მონაცემები.

XVIII საუკუნის I ნახევრით თარიღდება ,,ქრცხინვალში აყრილი კაცების ნუსხა“ (Hd-14876). საბუთი დაზიანებულია. მასში შეტანილია ცხინვალიდან აყრილი 17 კომლი, და მითითებულია თუ სად იმყოფებიან ისინი. მაგალითად: ,,ხახანას შვილი გიგინა, სამაჩაბლოშია“, ,,ესტატე მაქარას შვილი, ოსებში არის“; ,,პეტრე ხაბარელი ოსებშია“, ,,ხასოვანები, ოსებში არიან“. თავისთავად ის ფაქტი, რომ ცხინვალიდან აყრილი გლეხები ოსებში გადასახლებულთა შორის იხსენიებიან თვალნათლივ მიუთითებს, რომ ქალაქ ცხინვალში ჯერ კიდევ არ სახლობდნენ ოსები.

XVIII საუკუნის მიწურულს მიეკუთვნება ,,ნუსხა მღვირის ხეობაში აუღებელი ბეგარისა“ (Hd-5888) (История, 1962:211). მასში ჩამოთვლილია მღვირის ხეობის სოფლები: შელიური, მარალეთი, ყლარცვი, გერი, წიარი, ჭვრივი.[8] ბეგარის გადამხდელი გლეხები გვარებით იხსენიებიან. ისინი ეთნიკურად, ძირითადად, ქართველები არიან, ასევე დასახელებულნი არიან ოსი მაცხოვრებლები მაგ. ყლარცვში მცხოვრები ყულუნბეგაშვილი ბადრი, რომელიც, როგორც ჩანს, უკვე გაქართველებულია, რადგან გვარს ქართული ფორმა აქვს მიღებული და ქართულ ფეოდალურ სივრცეშია ინტეგრირებული, მასზე დაკისრებული გადასახადებით.

ქსნის საერისთავოს აღწერის დავთარი ორი ნუსხით გვაქვს წარმოდგენილი: ქსნის ერისთავის ყმათა სია (Qd-8013) და ქსნის ხეობის აღწერის დავთარი (Qd-8014). დოკუმენტები საკმაოდ გრძელი გრაგნილებია, რომლებიც შეისწავლეს და გამოაქვეყნეს ექვთიმე თაყაიშვილმა და ივანე ჯავახიშილმა. ორივე საბუთს აქვს თარიღი 1781 წელი. ექვთიმე თაყაიშვილმა საბუთების დათარიღებაში ეჭვი შეიტანა, Qd-8013 საბუთი 1774 **წლ**ით დაათარიღა, ხოლო Qd-8014 ვინაიდან 1781 წელს შედგენილი საბუთის პირია, ცხადია, მოგვიანო პერიოდით დაათარიღა და 1783 წლის შემდგომ გადაწერილად მიიჩნია (თაყაიშვილი, 1954: 2, 34). ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ დავთრის შესავალი, რომელშიც თარიღი (1781 წ.) არის მითითებული დავთრისთვის მოგვიანებით შეცდომით უნდა მიეწებებინათ, თვით დავთარი კი 1774 წლის ხალხის აღწერას შეიცავს (ჯავახიშვილი, 1996: 42-56; ჯავახიშვილი, 1967: 183).

მოცემულ ნუსხებში დასახელებულია სოფლები და გვარ-სახელითაა მითითებული მასში მოსახლე კომლები. ეთნიკურად ქსნის ხეობა მთლიანად ქართულია.

ქსნის საერისთავოს ეხება დოკუმენტი Qd-7148, რომელშიც განსაზღვრულია ერისთავის წილი ქსანზე. საბუთი XVIII საუკუნეს ეკუთვნის. მასში მოცემულია საუფროსო წილი[9], საჭირნახულო და საუარესო წილი თავისი სოფლებითა და ყმა-გლეხებით, რომლებიც გვარ-სახელებით იხსენიებიან და ეთნიკურად ყველა ქართველია. Qd-7147 ,,ცხრაზმის ყულარაღაზის წილი“ (XVIII ს.) უნდა ეკუთვნოდეს გიორგი ქსნის

---

[8] **მღვირი, ღვრია** – ხევი და თემი პატარა ლიახვის ხეობაში, იგივე გერის ხევი. მღვირის ხევში შედიოდა სოფლები: ღვრია, გერი, გუდისი, ყლარცვი, მარალეთი, მიფარეთი, საბოლოკე, შელეური, წიარა, ჭვრივი (**მაკალათია,** 1971: 59-60; **სოსიაშვილი,** 2022: 16).

[9] ოჯახის გაყრისას უფროსი ძმის განსაკუთრებული წილი ქონებაში.

ერისთავიშვილს, რომელიც ყულარაღასის[10] სახელოს ფლობდა მეფის კარზე. საბუთში ჩამოთვლილია ცხრაზმაში მოსახლე გლეხები გვარ-სახელებით, აქაც ეთნიკურად ყველა ქართველია.

XIX საუკუნის I ნახევარში შედგა ნუსხა ქსნის ერისთავის საკომლოებისა – Qd-8897 და Qd-10118 ა და ბ. ორივე ხელნაწერი სამუშაო პირია. საკმაოდ ვრცელი დავთრებია. არ ჩანს, რომელ ერისთავს ეკუთვნის. ცხადია, მასში განსაზღვრულია, უშუალოდ კონკრეტული ერისთავის კუთვნილი ყმა-მამული და ნუსხაში შესული არაა ერისთავიშვილების ყმა-გლეხები. ჩამოთვლილ სოფლებში იქ მოსახლე ყმები გვარებით არის მითითებული, რაც საშუალებას გვაძლევს მეტ-ნაკლებად განვსაზღვროთ ეთნოდემოგრაფიული ვითარება. მოცემულ ტერიტორიაზე მოსახლე ქართველი და სომეხი ყმები იხსენიებიან სახელით და გვარებით, ხოლო ოსები მხოლოდ სახელით და იქვე აღნიშნულია მათი წარმომავლობაც. მაგ. „ბერუა ოსი“, „ლეკვია ოსი“, „ოსის ბიჭი ნინია“ და ა.შ. დავთარში გვხვდება ოსური გვარები, როგორიცაა კუდუხაშვილი, თუმცა მას უკვე არ აქვს მითითებული წარმომავლობა. პროფ. როლანდ თოფჩიშვილის ახსნით, გვარებით და წარმომავლობის მიუთითებლად იხსენიებიან გაქრისტიანებული ოსები, რომლებიც ქართული ფეოდალური ორგანიზმი ნაწილი გახდნენ.[11] ქსნის ერისთავის სამფლობელო მოიცავდა დღეს ოკუპირებულ და არაოკუპირებულ ტერიტორიებსაც. დავთარში იხსენიება შემდეგი სოფლები თავისი საკომლოებით: კარალეთი - 29 საკომლო, ქიწნისი - 17 (აქედან 2 ოსი: ბერუა ოსი და ლეკვია ოსი), მარანა - 12, ტყვიავი - 33, ცხინვალი - 2, ფხვენისი - 2, ვარიანი - 1, ავნევი - 24, შინდისი - 1, ფლავი - 1, ვილდა -2, ხაშილაური - 1, კულბითი და კოშკა - 9, ჭარები - 2, სნეკვი - 2, ქსუისი - 2, ვანათი - 7, კუმისი - 9, ნათლუღი - 1, იკორთა - 4, ქვეში - 3, საცხენეთი - 19, ტირძნისი - 2, ერტულა და ხადურისკარი -5, ხოშური და ბელოთი - 12 (აქედან ერედვს დგას -1), აწერისხევი - 13 ერისთავის და 2 ეკლესიის (*დავთარის მინაწერი:* ჯამი 170, ეკლესიის ყმის ჯამი გვერდისძირისაკენ 44), ქსანზე ქარჩოხს - 19, პავლეთკარს - 12, თინიკაანთკარს - 6, კარელთკარს -5, მიდელაანთკარს - 9, ხოზოეთი - 6, ქენქათკარს - 4, ხარბალს -3, მშველიეთი - 14, მონასტერი - 2, საქორეთი -2, საძეგური - 19, ქურთა - 13, ნახიდი - 4 (მათ შორის „თანდილა ოსი“ და „ხუხუ ოსი“), ალევი - 23, იკოთი - 22 (მათ შორის „ოსი გიგოლა“), ძეგლევი - 9 (მათ შორის „ოსის ბიჭი ნინია“), ახალგორი - 26, ლამისყანა - 27. ცალკე არის ჩამოთვლილი ოსის საკომლოები: „გვერდისძირისაკენ, მეჯუდისაკენ და ქსნისაკენ“. ერტულაში -1 კომლი, ნაქალაქევში - 15, მეჯუდაზე - 1, წყლები - 1, აშატური - 8, არდისი - 4, ცხრაწყარო - 3, ბოსელთა - 4, ყოვთკარი - 1, ღრე და იქეთი - 3, მეტეხია- 2, ჩრდილი -1, ღ[რ]მე/ღრომი-5, გაბოეთი - 8, ოხირი - 5, მუჯუხი - 12, საფაშეტს და მონასტერს - 34, ღრწომი - ½, სარბიელზე და დიდველზე - 2, შემოღობილში და ხოფაში -1, ხრომისწყაროს - 5, არდისი -1, საბოლოკე - 3, მარმაზეთი - 1, გვიდისი - 9, საცხენეთი - 3 საკომლო ქსნის ერისთავებისა და ნახევარი ეკლესიისა.

დავთარში ქსნის ერისთავის მამულებს შორის დასახელებულია მაღრანდვალეთი, თუმცა საკომლოების რაოდენობა არაა მითითებული. მხოლოდ აღნიშნულია, რომ

---

[10] **ყულარაღაზი, ყულარაღასი** – თურქ.-სპარს. ტერმინი, ყულის ჯარის, მეფის მცველთა უფროსი. მეფის პირადი დაცვის ხელმძღვანელი, მეფის მცველ მეთოფეთა უფროსი გვიანფეოდალურ საქართველოში. ქართულ სამოხელეო ინსტიტუტში ყულარაღასის სახელოს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ,,დასტურლამალის“ მიხედვით, ყულარაღასის ძირითად მოვალეობას მეფის დაცვა შეადგენდა. იგი სასახლის დიდმოხელედ ითვლებოდა და სამეფოს მართვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

[11] მადლობას მოვახსენებთ ბატონ როლანდ თოფჩიშვილს გაწეული კონსულტაციისთვის.

„მაღრანდოლეთი ჩვენი წილი ჩვენს ბიძაშვილებთან გასაყოფი“. ბოლოს კი ლამისყანა იხსენიება 33 საკომლოთი.

დავთარში საინტერესო მასალაა დაცული მოსახლეობის მიგრაციის შესახებ. სოფლებში აღნუსხულია ხიზნების რაოდენობა და მითითებულია მათი თავდაპირველი საცხოვრისი. მაგ. ვინმე ქუმბარა მამაჯანგისა ჯერ ბელოთში მდგარა, შემდეგ ჩამოსულა ბენისს და ბოლოს ლამისყანას მამულზე დაუყენებიათ.

ამავე რიგისაა ,,ქსნისა და ლიახვის ოსების საკომლო მამულების ნუსხა“ (Hd-5421, XVIII ს. მიწურული). მასში ცალკეა დასახელებული ,,ქსნის ოსთ საკომლო მამულები“ და ,,ლიახვი საკომლო“. ,,ქსნის ოსთ საკომლო მამულები“: ჭურთაში, ქერდიყოანთ სოფელსა და ბოსელთაში, ჟამურში, ლომისასა და ოხირში, მუჯუხში, საფეშეთში, გლუვში, იქეთსა და ხლონის წყაროში, საბოლორეში, ბედთავანთ სოფელში, არდისსა და ბერძენთ კარში, ცხრაწყაროში მოსახლე კომლთა რაოდენობა. იქვე შეჯამებულია: ,,ჯამი საკომლოსი ორას სამი ახალს გატეხილს მამულებს გარდა“; ლიახვის საკომლოში - 95, სხვა სოფლებთან ერთად - სულ, 161 საკომლო. საბუთში დასახელებულია ოსების საკომლო მამულები. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლიახვზეც და ქსანზეც ყველა ოსების საკომლო მამულებია.

XIX საუკუნის 60-იან წწ. ეკუთვნის „ქსნის ხეობის და გვერდისძირის სოფლების აღწერის წიგნი“ (Qd-10881). საბუთში სოფლებთან ერთად მითითებულია მასში მოსახლე კომლები გვარების დასახელებით (ოსები, ამ შემთხვევაშიც, გვარების მითითების გარეშე იხსენიებიან). ბოლოს შეჯამებულია მონაცემები და აღნიშნულია: „სრულიად ოსის კომლი კაცი 82. ქსნისა და გვერდის ძირისაკენ აღწერილი კომლი სრულიად 172 ქართველნი. სრულიად ოსნი და ქართველნი 254.“

ქსნის ერისთავების გარდა, ქსნის ხეობაში მამულებს ფლობდნენ ქართლის თავადები. საბუთში Qd-8861, რომელიც XIX საუკუნის I მეოთხედს ეკუთვნის, მოცემულია მათი ჩამონათვალი: ქსნის ხეობის სოფელი ბოლი ამილახვრებს ეკუთვნოდათ, ყანჩაეთი – მუხრანბატონს, რეხის ხეობის სოფელი ზახორი – ამილახვრებს, გვერდისძირზე სოფელი ქვემო ქერე – სამთავროს ეკლესიას, ლიახვის მხარეს სოფელი კარბი – ამილახვრებს, ლიახვის ხეობის სოფელი სათიხარი – გედევანიშვილებს, ვაკეში სოფელი გარეჯვარი – მაჩაბლებსა და ამილახვრებს, მეორე გარეჯვარი – თუმანიშვილებს, სოფელი ძევერა – ამილახვრებს, სოფელი ბერთული – მუხრანბატონს, მეჯუდის ხეობაში სოფელი პატარა მეჯვრისხევი – ამილახვრებს, მათ ასევე წილი ჰქონიათ სოფელ ბიეთსა და ღრომში.

ქსნის ხეობის სოფლებისა და იქ მოსახლე კომლების შესახებ ცნობებს გვაძლევს თორნიკე ერისთავის დოკუმენტები: „ბრძანება თორნიკე ქსნის ერისთავისა იასაულისადმი გადასახადის აღების შესახებ“ (Qd-8821) საბუთი თავნაკლულია. იხსენიება თორნიკე ერისთავის ყმები საძეგურიდან, საქორეთიდან და ნადარბაზევიდან, ასევე უცნობი სოფლიდან, რომლის ტექსტიც აკლია საბუთს. ყმებს შორის ეთნიკურად ყველა ქართველია. „ნუსხა თორნიკე ქსნის ერისთავის ყმების მახტისა და კულუხისა ახალგორს“ (Qd-8846). საბუთში გვარსახელის მითითებით ჩამოთვლილია თორნიკე ერისთავის კუთვნილი ახალგორში მოსახლე ქართველი და სომეხი ყმები; თორნიკე ქსნის ერისთავის ყმა-მამულს ეხება ხელნაწერი Qd-8847, რომელშიც აღწერილია სოფლები: ატენი, ქსოვრისი, ჯებირი, მარანა, იკორთა, ხაშილაური, ჭარები, ბელოთი, ერტულა, საცხენეთი, ქსნის მხარეს ლამისყანა მასში მოსახლე ყმებით ქართველებითა და ოსებით. ფრიად საინტერესოა 1822 წელს შედგენილი თორნიკე ერისთავის შემოსავლის დავთარი (A-1134). ხელნაწერი დასათაურებულია შემდეგნაირად: „1822, წელსა იანვრის ბ-სა დღესა გაკეთდა დავთარი ოსებისათვის, ჩვენი წილი ოსებისა რამდენი საკომოა, ანუ რამდენი კომი კაცი ცხოვრობს

ზედ, და ანუ ბეითალმანი რამდენია, ამას ქვემოთ აღიწერება, თითოეულად, ქსანსა და გვერდის ძირის მხარისაკენ, მაიორი თავადი თორნიკე ერისთოვი“. მასში აღნუსხულია ერისთავის კუთვნილი სოფლები მასში მოსახლე კომლებით. ყმები იხსენიებიან სახელითა და გვარებით, რაც საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ, რომ ჩამოთვლილ სოფლებში მოსახლენი მხოლოდ ოსები არ არიან, მიუხედავად იმისა, რომ დავთარი ოსი ყმების აღნუსხვის მიზნით იყო შედგენილი. აშატურში - 29 კომლი, არდისსა და ბერძენთ კარში - 11, წყლებსა და ქუჯოანთ სოფელში - 12, ნაქალაქევში - 46, ქელოეთი - 45, ლამისყანა - 21, ხვითი - 3, ძეგლევი - 12, ახალგორი - 15, ნახიდი - 9, საძეგური - 16, საქორეთი - 3, ქურთა - 4, ხარბალა - 4, მონასტერი - 4, ბელოთსა და ელტურას - 18, საცხენეთს - 18, იკორთას - 3. თორნიკე ერისთავს 26 სოფლიდან 273 კომლი ეკუთვნოდა. საბუთი გამოქვეყნებულია დავით გვრიტიშვილის მიერ (გვრიტიშვილი, 1959: 57-76).

საბუთში Q-6993 „კომლთ რიცხვი“ (XIX ს.) დასახელებულია შიდა ქართლის სოფლები და განსაზღვრულია საკომლოების რაოდენობა. დოკუმენტის ბოლოს შეჯამებულია მონაცემები და აღნიშნულია, რომ „აზნაურთა ჯამი კბ, მამულიანი გლეხთა ჯამი ფჟზ, ბოგანოს ჯამი ით“ მაშასადამე, აღწერილ ტერიტორიებზე ყოფილა 22 აზნაური, 597 მამულიანი გლეხი და 19 უმამულო ანუ ბოგანო[12] გლეხი (სულ 638). საბუთს ბოლოში მიწერილი აქვს: „ლიახვს ოსის საკომლო არის ასსამოცდაცხრამეტი“. ამ შემთხვევაშიც ცალ-ცალკეა დაანგარიშებული ქართველთა და ოსთა კომლები.

ლიახვის ხეობასა და გვერდისძირის სოფლებს ეხება ,,ნუსხა ელიზბარ ერისთავის მიერ ლიახვის ხეობის მოსახლეობისგან აღებული და წართმეული საქონლის“ (Hd-3127, 1813 წ.). საბუთში შესულია ლიახვის და გვერდისძირის სოფლებში: დვალულაში, ინაურში, ჩაფარუხეთში, საცხენეთში, ქნოღოში, ისროლისხევში და სხვა სოფლებში მცხოვრები ქართველებისა და ოსებისაგან აღებული და წართმეული საქონლის ჩამონათვალი; ,,ნუსხა ქსნის ხეობის მცხოვრებთა (Hd-1380, 1818 წ. 4. III). მასში შეტანილია ქსნის ხეობაში, მეჯუდაზე, აგრეთვე ახალგორში, კორინთაში, ალევში, გრუში, ჟამურში, ჭურთაში და სხვა სოფლებში მოსახლეთა სია.

Hd-3317 ,,ნუსხა ოსების სოფლებიდან აღებული საჩუქარ-ბეგარისა“ (1842 წ. 21. X). უცნობი პირი აღნიშნავს იმ საჩუქარ-ბეგარას, რომელიც ოსური სოფლებიდან აიღო. საბუთში ჩამოთვლილია მდ. პატარა ლიახვის ზემო წელზე მდებარე სოფლები: ქვემო სოჭინი, ზემო სოჭინი, ზემო ვანური, ფოხალები, დვალული და სხვა და იქ მცხოვრებნი და მათგან აღებული ბეგარა-საჩუქრები.[13]

XIX საუკუნეში სტატისტიკური ნუსხების ახალი სახეობა ჩნდება. ეს არის მეტრიკული წიგნები, რომლებიც საეკლესიო ჩანაწერებია და ასახავს კონკრეტული სამრევლოს მონაცემებს: დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების, აღსარების მთქმელთა და მაზიარებელთა შესახებ. დავთრები ძვირფასი წყაროა ეთნოდემოგრაფიული ვითარების დასახასიათებლად. მასში დეტალურად არის მოცემული სამრევლოში შემავალი ოჯახების

---

[12] **ბოგანო** – გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში. უვენახო, მცირემიწიანი, ეკონომიურად ხელმოკლე გლეხი. ამის გამო იგი არ იხდიდა ძირითად საბატონო გადასახადებს ღალასა და კულუხს, მაგრამ ყოველგვარი ვალდებულებისაგან თავისუფალი მაინც არ იყო, იხდიდა საურს, თუმცა ნაკლებს, ვიდრე მკვიდრი გლეხი (მკვიდრი - 12 შაურს, ბოგანო - 2 შაურს), ევალებოდა ლაშქარ-ნადირობაში მონაწილეობა და სხვა.

[13] აღსანიშნავია, რომ სოფლები ქვემო სოჭინი, ზემო სოჭინი, ზემო ვანური, ფოხლები, დვალული მდებარეობდა მდ. პატარა ლიახვის ზემო წელში, მის მარჯვენა ნაპირზე. აქ უკვე ოსები ცხოვრობდნენ, ამიტომ საბუთში დასახელებულია როგორც ოსეთის სოფლები.

გენეალოგია. 1828-1846 წწ. ეკუთვნის სამრევლო დავთარი გორის მაზრის სოფელ ქურთას, წმინდა გიორგის ეკლესიისა და მასზე მიწერილი სოფლების ქვემო და ზემო აჩაბეთისა და კეხვისა (Qd-9241ა). ამავე სამრევლოს ეკუთვნის 1847-1867 წწ. შედგენილი დავთარი (Qd-9241ბ), რომელშიც აღსარების მთქმელთა და მაზიარებელთა სიებია შეტანილი.

ანალოგიური ხასიათის დავთრები XX საუკუნის დასაწყისშიც დგებოდა. 1916 წელსაა შედგენილი არგვეთისა და შიდა ქართლის მოსახლეთა საეკლესიო მრევლის დაბადებისა და ქორწინების და გარდაცვალების აღწერის დავთარი (Qd-10512), რომელშიც შეტანილია დღეს ოკუპირებული სოფლების (ქურთა, კეხვი და ა.შ.) მონაცემები.

დასკვნები

კვლევის შედეგად გამოჩნდა

სტატისტიკური ნუსხების თანახმად, დღეს ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში აღწერას ქართლის სამეფო კარი ატარებდა გადასახადების აკრეფისა და მოლაშქრე კაცთა რაოდენობის განსაზღვრის მიზნით. ნუსხებში ოკუპირებულ სოფლებთან ერთად წარმოდგენილია ქართლის მთელი რიგი სოფლები, ერთიანი საგადასახადო სისტემითა და სამართლებრივი ნორმებით.

აღწერის დავთრებში ასახული ეთნოდემოგრაფიული ვითარების თანახმად, ოკუპირებულ რეგიონში ძირითადი მოსახლეობა იყო ქართული, მცირე ნაწილი: სომხური, ებრაული და ოსური. ებრაელების ნაწილი გაქრისტიანებულია და „ურიაყოფილის“ ფორმით იხსენიება. ადრინდელ ნუსხებში (XVIII ს.) ოსები იხსენიებიან მხოლოდ სახლით და ეთნიკური წარმომავლობის მითითებით: „ბერუა ოსი“, „ლეკვია ოსი“, „ოსის ბიჭი ნინია“ და ა.შ. თუმცა დავთრებში გვხვდება ოსური გვარები, რომელთაც აღარ აქვთ მითითებული წარმომავლობა. ისინი არიან გაქრისტიანებული და ქართულ ფეოდალურ ურთიერთობებში ჩაბმული ოსები.

XIX საუკუნის დასაწყისის ნუსხებში ქართული საკომლოების გვერდით ჩნდება ოსური საკომლოების ჩამონათვალი. მათი გამიჯვნა ოსური მოსახლეობის მომრავლებით არის გამოწვეული, თუმცა სტატისტიკურად ოსური საკომლოების რაოდენობა 4-5-ჯერ ნაკლებია ქართულ საკომლოებთან შედარებით.

სტატისტიკური ნუსხების თანახმად, ოსური მოსახლეობა თავდაპირველად ჩნდება ოკუპირებული რეგიონის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში, მდ. დიდი ლიახვის ხეობის სათავეებში. თანდათანობით კი მათ გაფართოება ხდება სამხრეთით და აღმოსავლეთის მიმართულებით.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

Gvritishvili, D. (1959). Tornike eristavis shemosavlis davtari (1822 w.), tbilisis sakhelmwifo universitetis shromebi, #77, Tbilisi: tbilisis universitetis gamomcemloba. გვრიტიშვილი, დ. (1959). თორნიკე ერისთავის შემოსავლის დავთარი (1822 წ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, #77, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Dokumentebi saqartvelos socialuri istoriidan, w. 1, (1940). Redaqtori: Berdzenishvili, N. Tbilisi. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წ. 1, რედაქტორი: ბერძენიშვილი, ნ. თბილისი.

Tabuashvili, A. (2010). Shida qarTlis mosakhleobis agweris davtrebi, XVIII saukunis II naxevari, Tbilisi: gamomcemloba ,,universali". თაბუაშვილი, ა. (2010). შიდა ქართლის მოსახლეობის აღწერის დავთარები, XVIII საუკუნის II ნახევარი, თბილისი: გამომცემლობა ,,უნივერსალი".

Tabuashvili, A. (2013). Qalaq ckhinvalisa da misi mimdebare soflebis agweris davtrebi (XVIII saukunis II nakhevari), Tbilisi: gamomcemloba ,,meridiani". თაბუაშვილი, ა. (2013). ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბილისი: გამომცემლობა ,,მერიდიანი".

Makalatia, S. (1971). liakhvis kheoba, Tbilisi: gamomcemloba ,,sabwota saqartvelo". მაკალათია, ს. (1971). ლიახვის ხეობა, თბილისი: გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო".

Sosiashvili, G. (2022). Patara liakhvis kheobis istoria, Tbilisi. სოსიაშვილი, გ. (2022). პატარა ლიახვის ხეობის ისტორია, თბილისი.

Tkavashvili, M. (2014). Sofel kornisis istoriidan, kreb. Akhali da uakhlesi istoriis sakitkhebi, #12, Tbilisi: ,,universali". ტყავაშვილი, მ. (2014). სოფელ ყორნისის ისტორიიდან, კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, #12, თბილისი: გამომცემლობა ,,უნივერსალი".

Cotniashvili, M. (1986). Ckhinvalis istoria, Tbilisi: gamomcemloba ,,iristoni". ცოტნიაშვილი, მ. (1986). ცხინვალის ისტორია, ცხინვალი: გამომცემლობა ,,ირისთონი".

Takaishvili, E. (1954). Qsnis saeristavos statistikuri agweriloba, TSU shromebi, #45, Tbilisi: tbilisis universitetis gamomcemloba. თაყაიშვილი, ე. (1954). ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა, თსუ შრომები, #45, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Djavakhishvili Iv. (1901). Khalkhis agwerisa da shemosavlis davtrebi saqartveloshi, jurn. ,,Moambe", Tbilisi.. ჯავახიშვილი, ივ. (1901). ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები საქართველოში, ჟურნ. „მოამბე", IV, თბილისი.

Djavakhishvili Iv. (1996). Saqartvelos ekonomiuri istoria. Wigni pirveli, wign.: Djavakhishvili Iv. Tkhzulebani tormet tomad, t. IV, Tbilisi: tbilisis universitetis gamomcemloba. ჯავახიშვილი, ივ. (1996). საქართველოს ეკონომიური იტორია. წიგნი პირველი. წიგნ. ჯავახიშვილი, ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IV, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Djavakhishvili Iv. (1967). Saqartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi, w. I. Demografiuli dzeglebi. Agmosavlet saqartvelos XVIII s. khalkhis agweris davtrebi., Tbilisi: gamomcemloba „mecniereba“. ჯავახიშვილი, ივ. (1967). საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. I. დემოგრაფიული ძეგლები. აღმოსავლეთ საქართველოს XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრები, თბილისი: გამომცემლობა ,,მეცნიერება“.

История Осетий в документах и материалях, (1962). Сост. Т. Д. Тогошвили и И. Н. Цховребов, т. I, Цхинвали: Госиздат Юго-Осетии.